N 23-10-105
17/01/2023

105-შ-23-10-3-202301171800

“მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გამართული საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვის ცხრილი

ადმინისტრაციული ორგანო / ორგანიზაციის დასახელება / კერძო პირი და, საჭიროების შემთხვევაში, კომენტარების შემცველი დოკუმენტის თარიღი და ნომერი	კომენტარები	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარებზე
სს „სილქნეტი“ 22.12.2022, შ-22-6/4686	**კომენტარი 1:** სილქნეტი მიიჩნევს, რომ კომისიის მიერ მიღებული „MVNO გადაწყვეტილება“ უნდა გაუქმდეს/გამოცხადდეს ძალადაკარგულად, რადგან: „MVNO გადაწყვეტილება“ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან, მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის, კვლევა-ანალიზის ჩატარების, ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების დადგენის და მათზე სპეციფიკური ვალდებულების დაკისრების ნორმებთან; „MVNO გადაწყვეტილებით“ დარღვეულია კანონიერების პრინციპი, ვინაიდან კვლევა-ანალიზის ყველა ეტაპი „ჩატარებულია“	**პასუხი სს „სილქნეტის“ პირველ კომენტარზე:** კომისია მიიჩნევს, რომ **სს „სილქნეტის“** მიერ დასმული საკითხი სცდება კომისიის 2022 წლის 24 ნოემბრის N გ-22-23/504 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განსახილველ საკითხს. ხსენებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განხილულ იქნა არა კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების კანონიერების/ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი, არამედ - აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების ვადასთან დაკავშირებული საკითხი.

	კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ნორმების დარღვევით და სრულად დაუსაბუთებელია; მათ შორის, სამი ოპერატორის ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობის დასადგენად შეცდომით გამოყენებულია ერთპიროვნული (ერთი პირის) საბაზრო ძალაუფლების შეფასებისთვის განკუთვნილი კრიტერიუმები, რომლითაც უბრალოდ, თეორიულადაც კი შეუძლებელია დასაბუთდეს ორი ან მეტი პირის ერთობლივი საბაზრო ძალაუფლების ფლობა. „MVNO გადაწყვეტილება“ წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირში ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან/ნორმებთან და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან, ისევე, როგორც წინააღმდეგობაში მოდის კონკურენციისა და საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ პრინციპებთან. *კომპანიას დასტურად მოყვანილი აქვს ამონარიდები საერთაშორისო იურიდიული ფირმა DLA PIPER-ის ლონდონის ოფისის მიერ მომზადებული მემორანდუმიდან, ასევე კომპანია მიუთითებს, რომ კომისიისთვის აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით არაერთი წერილით აქვს გაზიარებული თავისი პოზიცია და ასევე წარმოდგენილი აქვს ავტორიტეტული საერთაშორისო კომპანიების (DLA PIPER, Analysis Mason, Dentons) დასკვნა (იხ. კომპანიის წერილი - 11792/01-8, კომისიაში რეგისტრაციის N*Ш*-22-6/4686* , თარიღი *22.12.2022 თანდართულ მასალებში)*	თუმცა, ვინაიდან კომპანიამ ვრცელი კომენტარი გააკეთა კომისიის გადაწყვეტილების არაკანონიერებასთან დაკავშირებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს კიდევ ერთხელ დააფიქსიროს, რომ კომისია არ იზიარებს მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156 გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოში ან ევროკავშირში ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან, ან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნულის დასტურად კომისიას მოჰყავს შპს „იუაის“ 2020 წლის 16 ნოემბრის(დასრულებული და ოპერატორებთან გაზიარებული 2021 წლის თებერვალში) დასკვნა „მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის შემოსვლის ბიზნეს სცენარების შეფასება და ტელეკომუნიკაციის ბაზარზე გავლენის ანალიზი“ (ანგარიში იხ. თანდართულ მასალებში), სადაც გაკეთებულია შემდეგი შეფასება: „GNCC-ის გადაწყვეტილების და სამართლებრივი ღონისძიებების განხილვისა და ზემოთ აღწერილ სტრუქტურაზე შედარების საფუძველზე მივედით შემდეგ დასკვნამდე: GNCC-მ მიიღო ევროკავშირის მარეგულირებელი სტრუქტურით განსაზღვრული სამართლებრივი ღონისძიებები (remedies) მობილური ქსელის მომსახურებების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტში კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ გადაწყვეტილებაში 20-9/156.“ ასევე, იურიდიული კომპანიების

		DLA PIPER, Analysis Mason-ისა და Dentons-ის ანგარიშებში გამოთქმულ ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ მოსაზრებებზე პასუხები, შეგიძლიათ იხილოთ უკვე აღნიშნულ, შპს „იუაის“ 2020 წლის 16 ნოემბრის (დასრულებული და ოპერატორებთან გაზიარებული 2021 წლის თებერვალში) დასკვნაში. გარდა ამისა, მითითებულ დასკვნებთან დაკავშირებით კომისიის პოზიცია სს „სილქნეტისთვის“ გაზიარებულია შემდეგი წერილებით: 22.07.2021, Nგ-21-08/2167; 22.07.2021, N გ-21-08/2168. (წერილები იხილეთ თანდართულ მასალებში).
	კომენტარი 2: კომისიის, ოპერატორების და ავტორიტეტული საერთაშორისო კომპანიის ექსპერტების მონაწილეობით შეხვედრების ჩატარებისა და ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდგომ, კომისიამ არა ერთ საჯარო გამოსვლაში, ისევე, როგორც სს „სილქნეტთან“ არა ერთ ოფიციალურ კორესპონდენციაში ნათლად განაცხადა, რომ დაიწყებდა ადმინისტრაციულ წარმოებას „MVNO გადაწყვეტილების“ ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მობილური ოპერატორის მიერ განხორციელდებოდა მსურველი პირის (MVNO) მობილურ ქსელზე დაშვებასთან დაკავშირებით გონივრული მოთხოვნის დაკმაყოფილება; შემდგომ კომისიამ შეცვალა პოზიცია და ასევე ოფიციალურ კორესპონდენციაში განაცხადა, რომ დაიწყებდა ადმინისტრაციულ წარმოებას “MVNO გადაწყვეტილების“ ძალადაკარგულად	**პასუხი სს „სილქნეტის“ მეორე კომენტარზე:** კომისია არ ეთანხმება სს „სილქნეტის“ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიამ შეცვალა პოზიცია “MVNO გადაწყვეტილების“ ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით. კომუნიკაციების კომისიის მხრიდან სს „სილქნეტს“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის პოზიცია არაერთგზის ეცნობა კომისიის წერილებით, ასევე, აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით კომისიამ 2021 წლის 18 ნოემბრის N გ-21-19/622 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში გადაწყვეტილების ვადის გადაწევის მიზეზებთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი: „ ... აღნიშნული დამატებითი დრო განისაზღვრა იმისთვის, რომ დაშვების მსურველმა ოპერატორებმა დააფიქსირონ მიმართვები

	გამოცხადების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნებოდა „MVNO-ს დაშვებისა და პრაქტიკული საქმიანობის დაწყების პრეცენდენტი“. 2021 წლის 3 დეკემბერს, სს „სილქნეტსა“ და შპს „ეკლექტიკს“ შორის გაფორმდა მობილურ ქსელთან დაშვების საბითუმო მომსახურების ხელშეკრულება, ხოლო 2022 წლის აგვისტოდან შპს „ეკლექტიკმა“ დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა ბრენდული სახელწოდებით „Hallo” და უკვე 4 თვეზე მეტია უზრუნველყოფს თავისი ბოლო მომხმარებლებისათვის ვირტუალური მობილური მომსახურების მიწოდებას;	ქსელის ოპერატორ კომპანიებთან, აწარმოონ მოლაპარაკებები კომერციულ პირობებზე და მსურველ ავტორიზებულ პირებს მიეცეთ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. კომისია დააკვირდება და შეაფასებს ამ პროცესის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას, რის შემდეგ, მზად არის ხელახლა განიხილოს MVNO დაშვების სავალდებულო რეჟიმის, 2019 წლის 31 დეკემბრის Nგ-20-9/156 გადაწყვეტილების საჭიროება.“ კომისიამ “მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156 გადაწყვეტილების საჭიროების საკითხზე არაერთგზის იმსჯელა შემდეგ გადაწყვეტილებებზე მუშაობისას და მათთან დაკავშირებით გამართული საჯარო-ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში: 18/11/2021-ის N გ-21-19/622 და 29/12/2022 -ის გადაწყვეტილება “მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც კომისიამ 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156 გადაწყვეტილების ამოქმედების ვადა გადაწია.
შპს „მაგთიკომი“ 22.12.2022, შ-22-6/4675 *(N ED-22/12/22-001)*	**კომენტარი 1:** კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156	**პასუხი შპს „მაგთიკომის“ პირველ კომენტარზე:** კომისია მიიჩნევს, რომ **შპს**

	გადაწყვეტილება არის უკანონო და ის უნდა გაუქმდეს. შესაბამისად, ოფერტის გამოქვეყნების თარიღის ერთი წლით გადავადება ალოგიკურია და მას დადებითი ეფექტი არ ექნება არც სატელეკომუნიკაციო დარგზე და არც რომელიმე ავტორიზებულ პირზე. თუ რატომ არის კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156 გადაწყვეტილება უკანონო, ამ ფაქტზე მისი მიღების თარიღიდან დღემდე, თქვენთვის მაგთიკომის პოზიცია კარგად არის ცნობილი, როგორც კომპანიის საჯარო განცხადებებით, ასევე თქვენთვის წარმოდგენილი მრავალი წერილობითი დოკუმენტით; აღსანიშნავია, რომ მაგთიკომის არგუმენტაცია არ არის სუბიექტური. იგი გამყარებულია და, თავის მხრივ, ეფუძნება მსოფლიო აუდიტორული კომპანიების საუკეთესო პირველი ათეულიდან ექვსი კომპანიის - Deloitte-ის; BDO-ის; KPMG-ის; RSM-ის; Nexia TA-ის და Grant Thornton-ის დასკვნებს. აღნიშნული ექვსი კომპანიიდან ორი დიდი ოთხეულის წევრია. *კომპანიას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა დროს გაკეთებული საჯარო განცხადებების და აღნიშნული აუდიტორული კომპანიების დასკვნების ბმულები (იხ. კომპანიის წერილი N ED-22/12/22-001, კომისიაში რეგისტრაციის N შ-22-6/4675 22.12.2022 თანდართულ მასალებში)*	**„მაგთიკომის“** მიერ დასმული საკითხი სცდება კომისიის 2022 წლის 24 ნოემბრის N გ-22-23/504 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განსახილველ საკითხს. აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განხილულ იქნა არა კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების კანონიერების/ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი, არამედ - აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების ვადასთან დაკავშირებული საკითხები. კომპანიის მიერ მითითებულ ანგარიშებში გამოთქმულ ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ მოსაზრებებზე პასუხები, შეგიძლიათ იხილოთ კომისიის 15.10.2020 თარიღის N გ-20-08/3315 წერილსა და შპს „იუაის“ 2020 წლის 16 ნოემბრის(დასრულებული და ოპერატორებთან გაზიარებული 2021 წლის თებერვალში) დასკვნაში - „მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის შემოსვლის ბიზნეს სცენარების შეფასება და ტელეკომუნიკაციის ბაზარზე გავლენის ანალიზი“ (კომისიის წერილი და დასკვნა იხ. თანდართულ მასალებში).
	კომენტარი 2: ის, რომ კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156 გადაწყვეტილება არის უკანონო, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ არცერთ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში მსგავსი რეგულაცია არ	**პასუხი შპს „მაგთიკომის“ მეორე კომენტარზე:** კომისია მიიჩნევს, რომ **შპს „მაგთიკომის“** მიერ დასმული საკითხი სცდება კომისიის 2022 წლის 24 ნოემბრის N გ-22-23/504

	არსებობს.	გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განსახილველ საკითხს. აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განხილულ იქნა არა კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების კანონიერების/ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი, არამედ - აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების ვადასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა, მიზანშეწონილად მიიჩნევს დააფიქსიროს - კომისია არ იზიარებს მოსაზრებას, რომ კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156 გადაწყვეტილება არის უკანონო და რომ მისი დასტურია ევროკავშირის წევრ ქვეყანაში მსგავსი რეგულაციის არ არსებობა. კომისიის აღნიშნული პოზიციის დასტურად გთხოვთ, იხილოთ შპს „იუაის“ 2020 წლის 16 ნოემბრის დასკვნა „მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის შემოსვლის ბიზნეს სცენარების შეფასება და ტელეკომუნიკაციის ბაზარზე გავლენის ანალიზი“ (ანგარიში იხ. თანდართულ მასალებში), სადაც მოყვანილია ევროკავშირის MVNO-ს მხარდამჭერი რეგულაციები და დანერგვის მაგალითები(გვ.14). ასევე, ამავე დასკვნაში შეგიძლიათ იხილოთ შპს „იუაის“ გაკეთებული შეფასება გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე მოყვანილია წინამდებარე დოკუმენტში სს „სილქნეტის“ პირველი კომენტარის პასუხად.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ვირტუალური მობილური ქსელის ოპერატორთა ასოციაცია 28.12.2022, შ-22-6/4729	**კომენტარი:** მობილური ვირტუალური ოპერატორების ასოციაცია (MVNO) მოგმართავთ თხოვნით, ძალაში დატოვოთ 2019 წლის 31 დეკემბრის გ-20-9/156 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მობილურ ოპერატორებს დაეკისრათ ვირტუალური ოპერატორის საკუთარ ქსელზე დაშვების ვალდებულება. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების და ასოციაციის წევრების დიდი დაინტერესებისა ოპერირება დავიწყოთ MVNO მოდელით, რაც გამოიხატება როგორც ჩვენი მხრიდან გაკეთებული არაერთი საჯარო განცხადებით თუ ჩადებული საკმაოდ დიდი ფინანსური ინვესტიციით, მობილურ ოპერატორებთან მოლაპარაკება წლებია უკვე მაინც პასიურ რეჟიმში მიმდინარეობს. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტები (განსაკუთრებით სს ,,სილქნეტი) ხშირ შემთხვევაში მსურველ ოპერატორებთან კავშირზე გამოდიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ქსელზე დაშვების წინასწარი რეგულაციის საკითხის აქტუალობის პროვოცირება ხდება ჩვენი, მედიის ან თქვენი მხრიდან. შესაბამისად, გვიჩნდება განცდა, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება MVNO მოდელის იმპლემენტირების საკითხს ნაკლებად მნიშვნელოვანს გახდის ყველასთვის, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მეტ-ნაკლებად დაძრული პროცესებიც კი გაჩერდება და კიდევ უფრო გაურკვეველი დროით გადაიდება ქართულ ბაზარზე რეალური MVNO-ს	**პასუხი „ვირტუალური მობილური ქსელის ოპერატორთა ასოციაციის“ კომენტარზე:** კომუნიკაციების კომისია იზიარებს „ვირტუალური მობილური ქსელის ოპერატორთა ასოციაციის“ ხედვას იმასთან დაკავშირებით, რომ სატელეკომუნიკაციო სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნისთვის MVNO დაშვების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს და კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის Nგ-20-9/156 გადაწყვეტილების გაუქმება მიმდინარე ეტაპზე მიზანშეწონილი არ იქნება. აღნიშნულის მიზეზად კომისია მიიჩნევს რამდენიმე ფაქტორს: პირველ რიგში აღსანიშნავია ის ახალი მოცემულობა, რომ კომუნიკაციების კომისია მუშაობს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის სრულფასოვანი კვლევისა და ანალიზის (შემდეგში „ჰოლისტიკური კვლევა“) პროექტზე, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ფიქსირებული ფართოზოლოვანი და მობილური მომსახურებების საცალო და საბითუმო სეგმენტებზე კომპლექსური ანალიზის ჩატარება ევროკომისიის მიერ დადგენილი ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად. ამასთან, საგულისხმოა, რომ კომისიის 2021 წლის 18 ნოემბრის N გ-21-19/622 გადაწყვეტილების შემდეგ, 2022 წლის 1 აგვისტოდან შპს „ეკლექტიკმა“ დაიწყო პრაქტიკურლი საქმიანობა ბრენდული სახელწოდებით „Hallo” და ახორციელებს ბოლო მომხმარებლებისთვის მობილური მომსახურების

	შექმნა. ეს კი თავის მხრივ აპრიორი გულისხმობს ქართველი მომხმარებლებისთვის არსებული კაბალური პირობების ხელშეუხებლობასა და სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგრესს. აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კაბალურ პირობებში არ ვგულისხმობთ მხოლოდ საფასო პოლიტიკას, ტარიფებზე არანაკლებ ყურადსაღებია აბონენტებზე მორგებული სერვისების არარსებობა ჩვენს ქვეყანაში. ქვეყანაში 3 მობილური ოპერატორია და არცერთი არ ფიქრობს მომხმარებელზე ორიენტირებული და მომხმარებლის საჭიროებაზე გათვლილი სერვისების შექმნას, ერთადერთი რაც მათ ერთმანეთისგან განასხვავებთ სწორედ მომსახურების ღირებულებაა, რაც ჯანსაღ სიტუაციაში არავისთვის არ უნდა იყოს მისაღები. მიგვაჩნია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უმთავრესი მისია სწორედ კომუნიკაციების სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნაა და იმაშიც ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ MVNO მოდელის იმპლემენტაცია ამ მისიის შესრულების უმთავრესი გზაა. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, დატოვოთ უცვლელი გ-20-9/156 გადაწყვეტილება. ჩვენთვის, MVNO-ს მსურველებისთვის ქსელზე დაშვების ვალდებულების არსებობა ერთდერთი ბერკეტია, რაც გვიქმნის იმის განცდას, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ქმედებების გაკეთებას, კიდევ უფრო მეტ ფინანსურ ინვესტიციას, საერთაშორისო ვენდორებთან მოლაპარაკებას, დროითი რესურსის დახარჯვას ნამდვილად აქვს აზრი.	მიწოდებას, თუმცა, მიუხედავად ამისა, კომისიისთვის ცნობილია რომ კომპანიები, რომლებიც 2020 წლიდან ღიად გამოხატავენ ინტერესს მოიპოვონ დაშვება საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორების ქსელზე და შეძლონ საქართველოში მომხმარებელს მიაწოდონ მობილური მომსახურებები როგორც მობილურმა ვირტუალურმა ოპერატორებმა, კომისიის ხელთ არსებული ინფორმაციით ამ მომენტამდე დაშვების მოპოვება ვერ ხერხდება. დამატებით, საჯარო კონსულტაციების ეტაპზე კომისიასა და MVNO დაშვების მსურველ კომპანიებს შორის გამართულ სამუშაო შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ ქსელის მფლობელ ზოგიერთ ოპერატორთან მოლაპარაკებების პროცესი დაძრულია, თუმცა კომპანიის წარმომადგენლების თქმით, აღნიშნული მოლაპარაკებების წარმატების შესაფასებლად საჭიროა რამდენიმე თვიანი ვადა. ყველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია იზიარებს მოსაზრებას, რომ “მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის 9/156 გადაწყვეტილება უნდა შენარჩუნდეს, თუმცა ასევე მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია კომისიის Nგ-20-9/156 გადაწყვეტილების ამოქმედების ვადა გადაწეულ იქნას 2023 წლის 1 ივლისამდე.

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ვახტანგ აბაშიძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე



წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ივანე მახარაძე



წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია